

კითხვარი საარჩევნო

ფასი 50 თეთრი № 18

1-8 აგვისტო

2016 წელი

გამოდის სამშაბათობით

**საქართველოს
კადავრება
პროფკავშირმა
ფოთელ
აღზრდელებს
სასკოლო მზარეობი
ტრენინგები
ჩაუტარა** 33. 3

**„ლატკა“
დადებული
სახურავი და
სილიკონით
დანაბეჭული
მოაჯირი** 33. 3

**რეგიონული
თეატრების
საერთაშორისო
ფესტივალი
დასრულდა** 33. 4

**გაზეთი საარჩევნო
რეკლამისთვის
გვირდებს
დაუთმობს
საპარლამენტო
არჩევნებში
მონაწილე
პარტიებსა და
მაჟორიტარ
კანდიდატებს.
დაგვიკავშირდით:
ქ. ფოთი, ნინო ნინოს № 3
ტელ: (0493) 22 25 80, 599 34 14 17
განათავსეთ
რეკლამა
ჩვენთან!!!**

საუკეთესო საგაზეთო სტატიისთვის გაზეთი „მთავარი თემა სამეგრელოში“ დაჯილდოვდა



ნიკა ავაქორია
ფოთი

31 ივლისს, ხონში კინხის წყალვარდნილზე, ჟურნალისტთა კონკურსის დაჯილდოვება გაიმართა. კონკურსში პროექტის „ქალთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში“ ფარგლებში მიმდინარეობდა, რომელსაც არასამთავრობო ორგანიზაცია რეგიონალური ინიციატივების ცენტრი „ნათელი მომავალი“ ქალთა ფონდი საქართველოს ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებდა. კონკურსი სამი თვის მანძილზე მიმდინარეობდა, რომელშიც რეგიონული მედიის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. კონკურსის ფარგლებში 25 მედია პროდუქტი მომზადდა, რომელიც სხვადასხვა თემატიკას მოიცავდა. მათ შორის ქალთა უფლებრივი მდგომარეობას, ძალადობას, ქვოტირებას და ქალთა შრომით უფლებებს. ასევე აღსანიშნავია, რომ კონკურსში 15 სხვადასხვა მედია ორგანიზაციების წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა. იყო ტელე, რადიო, საგაზეთო და ონლაინ მედია ნამუშევრები. პროექტის ფარგლებში სამი გამარჯვებული დასახელდა თათა კაჭკაჭიშვილი — რადიო „თავისუფლება“ საუკეთესო რადიო სიუჟეტი, გიორგი გირკელიძე — „გურია ნიუსი“ საუკეთესო ონლაინ მასალა, ინგა გვასალია — „მთავარი თემა სამეგრელოში“ საუკეთესო საგაზეთო სტატია. სამასსოვრო საჩუქრები და სერთიფიკატები ყველა იმ ჟურნალისტს გადაეცა, რომლებმაც კონკურსში მონაწილეობა მიიღეს. განსაკუთრებული მხარდაჭერისთვის და პროექტის აქტიურად გაშუქებისთვის დაჯილდოვდა ჟურნალისტი სალომე ჩახუნაშვილი — რადიო „ძველი ქალაქი“. ქალთა საკითხების აქტიურად გაშუქებისთვის სამადლობელი წერილები დაეგზავნათ ყველა იმ მე-

დია ორგანიზაციებს, ვინც პროექტის განხორციელების ეტაპზე მხარდაჭერა გამოხატეს. დაჯილდოვების შემდეგ საინფორმაციო აქციაზე გაიმართა. მედიის წარმომადგენლებმა პროექტის ფარგლებში დაბეჭდილი საინფორმაციო მასალები ადგილობრივ და უცხოელ ტურისტებს დაურიგეს. პროექტის მეორე ნაწილი იმერეთის ოთხი (ხონი, წყალტუბო, სამტრედია, ბაღდათი) მუნიციპალიტეტის, სოფლად მცხოვრები ქალების (მოსახლეობის) ინფორმირებულობას მოიცავდა. მათ შორის, ქალთა უფლებების, ძალადობის, პრევენციის და ჩართულობის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას. ოთხივე მუნიციპალიტეტში 8 შეხვედრა გაიმართა. პროექტის ხელმძღვანელის მარია ვაჭარაძის თქმით: „საქართველოში ქალთა საკითხებზე მომუშავე ექსპერტები თანხმდებიან იმაზე, რომ ზუსტი სტატისტიკა ქალთა უფლებების დარღვევის შესახებ არსებობს. ამის ერთ-ერთი და მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი ის არის, რომ ქალები პრობლემებზე დიად არ საუბრობენ, მით უფრო ძალადობის ფაქტებზე. მეტიც ისინი ოჯახურ ძალადობას მაღავენ. ხშირ შემთხვევაში ამ ძალადობრივი ფაქტების შესახებ საზოგადოების ნაწილი მაინც იგებს, თუმცა იმ მომენტთან გამომდინარე „მათი ოჯახური პრობლემა ჩემი საქმე არ არის“ საზოგადოება ამ ფაქტებს მაღავს და კომფლიქტის გამოაშკარაებისგან თავს იკავებს. ამ ფაქტებს კი ხშირად საჯარო შედეგი მოაქვს. ვფიქრობთ, ძალადობა რა დოზით და რა სახითაც არ უნდა იყოს გარკვეულწილად კვალს ტოვებს ადამიანის ფსიქიკაზე. საქართველოში სიტყვიერი შეურაცყოფა ჯერ კიდევ არ აღიქმება ძალადობად. ამდენად ამ საკითხებზე ქალები ნაკლებად ინფორმირებულნი არიან, არ იციან თავიანთი უფლებები. პროექტის ერთი ნაწილი მოსახლეობასთან უშუალო შეხვედრებს მოიცავდა, ხოლო მეორე ნაწილი ჟურნალისტებისთვის მეტი ინფორმაციის მიწოდებას და ქალთა საკითხებით დაინტერესებას ისახავდა მიზნად.“

გამომცემელი და დირექტორი, მთავარი რედაქტორი ინგა გვასალია - 599 341 417; ingagvasalia@gmail.com

რედაქტორი ივეტა პაჭკორია - 568 61 04 41

დისტრიბუციის მასხარის მარიამ ალიხანაშვილი 551 122 570- კორესპონდენტები:

მარიამ ჯავახია - 579 241 122

ნანუკა ქავია (ფოტო) 571 323 539

ივეტა პაჭკორია (ხობი) 568 61 04 41

გამოქვეყნებული მასალის შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. სტატიის ავტორები თავად აგებენ პასუხს ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუდიო მასალები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები არ მიიღება.

ბამ(ო)ქმეცნეპულ(ო) მასალის ბადაპაშვილი რედაქციის ნებართვის გარეშე აპრობაქსი.

2014 წლის ბოლოდან 20 % -ით გაუფასურდა ეროვნული ვალუტა როგორც ეროვნული ბანკის პრეზიდენტი გიორგი ქადაგიძე აცხადებს ვალუტის კურსის ვარდნა მყარია.



და ზღრულ ნიშნულს არ ცილდება. გასულ წელს 23 %-ით გაიზარდა ქვეყნის მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობა. ერკერტების აზრით მთავრობა ხელმეტი ფულს ბეჭდავს, რაც ინფლაციის მიზეზია. მიმდინარე წლის იანვარში დოლარის მიმართ ლარის კურსი ყოველდღიურად იცვლება და მდლდა მიიწევს. ბოლო დღეების მონაცემებით ერთი ამერიკული დოლარი - 2,4 ლარზე მეტია, ერთი ევრო - 2,7 ლარი, ერთი თურქული ლირა - 0,78 ლარი.

საარჩევნო მარათონის დაწყებაზე ფოტოსაქმეში საარჩევნო განვითარების სკოლის პროექტი ხორციელდება

ივანე პაჭკორია ფოტო

არჩევნები სულ მალე აქტიურ ფაზაში შევა, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ ფოტოში ამ მხრივ აქტიურობა იგრძნობა. სანამ საარჩევნო სუბიექტები აქტიურ ნაბიჯებს გადადგამდნენ, მანამ შევეცადეთ გაგვეჩვენოთ ფოტოს საოლქო საარჩევნო კომისია თუ როგორ ემზადება ამ მოვლენისათვის. საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის სალომე როდონიას თქმით „ჯერჯერობით წინასწარჩვენო პერიოდი გვაქვს. ძირითადი გარკვეული საკითხები აგვისტოდან დაიწყება, 4 აგვისტოდან 17 აგვისტოს ჩათვლით უბნის კომისიის წევრების საბუთების მიღება დაიწყება, სწორედ აქედან საარჩევნო ადმინისტრაცია შედის აქტიურ ფაზაში. სექტემბერში კი უკვე ხსენებები დაიწყება“.

საარჩევნო მარათონის დაწყებამდე კი ფოტოს საოლქო საარჩევნო ოლქში სამოქალაქო ჩართულობისა და არჩევნების ახალგაზრდებში პოპულარიზაციის მიზნით პროექტი „საარჩევნო განვითარების სკოლა“ ხორციელდება. საარჩევნო განვითარების სკოლებში მსურველებს შესაძლებლობა ეძლევათ მიიღონ ცოდნა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორც



ბიჯა: საარჩევნო სისტემები, საარჩევნო ადმინისტრაცია, დემოკრატიული საარჩევნო პრინციპები, არჩევნითი ორგანოები საქართველოში, არჩევნებში ჩართული მხარეები, არჩევნების გამჭვირვალობა და ხელმისაწვდომობა, გენდერული თანასწორობა და ა.შ.

სალომე როდონიას თქმით, „ეს არის საარჩევნო განვითარების სკოლა, რომელიც მიზნად ისახავს ახალგაზრდების დაინტერესებას საარჩევნო თემატიკით. პროექტი 2015 წელს ჩატარდა სხვა და სხვა რეგიონებში ეს იყო საპილოტე პროექტი, რომელმაც გაამართლა და დღესდღეობით უკვე 20 მუნიციპალიტეტში ვეროსაბჭოსა და ნორვეგიის საგარეო სამინისტროს, საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება. პროექტის მეშვეობით ძირითადად 25 ახალგაზრდა იღებს ამ განათლებას. კურსის დამთავრების შემდგომ, მათ გადაეცემათ სერთიფიკატი“.

გასულ წელს პროექტის წარმატებით განხორციელებამ მსურველთა რაოდენობის გაორმაგება გამოიწვია. წელს სწავლება 20 მუნიციპალიტეტში: გურჯაანში, სიღნაღში, თელავში, რუსთავში, გარდაბანში, მარნეულში, დუშეთში, გორში, ბორჯომში, ახალციხეში, ამბროლაურში, სანჯურში, ზესტაფონში, ქუთაისში, ოზურგეთში, სენაკში, ზუგდიდში, ფოთში, ბათუმსა და ქობულეთში გაიმართება.

დამოკიდებულებიდან თვითკმარობამდე

მარი ჯავახია ფოტო

ფოტოში, ცენტრალურ ბიბლიოთეკაში დევნილთა და ეკომიგრანტთა საჭიროებების კვლევის პრეზენტაცია გაიმართა, მოწვეული იყო როგორც დევნილი მოსახლეობა ასევე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები. შეხვედრა ეძღვნებოდა კვლევის გაცნობას, რომელიც ჩატარდა ევროკავშირის მიერ, დაფინანსებული პროექტის „დამოკიდებულებიდან თვითკმარობამდე ემპირიული საარსებო წყაროების გადაწყვეტილების საქართველოსთვის“. ლტოლვილთა დანიის საბჭოსა და საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრი აფხაზეთის დაკვეთით. კვლევა იძულებით გადაადგილებულ პირების შრომის გაუმჯობესებასა და მათ საზოგადოებაში ინტეგრაციას ეხებოდა. როგორც კვლევიდან გამომდინარე თუ მიგრანტ სოციალურად დაუცველი ადამიანების სხვადასხვა პროგრამებში ჩართვა არ სურთ, რადგან ნებისმიერი სხვა ფინანსური წყარო რომელიც ბენეფიციარს საარსებოდ გამოუჩნდება, უწყვეტად სოციალურ დახმარებას. შიში იმასა, რომ თუ პროექტი ვერ გაამართლებს და შემოსავლის ახალი წყარო შეუწყდება იმდენად დიდია, რომ ბენეფიციარები არ თანხმდებიან სხვადასხვა პროექტებში ჩართვას. როგორც ჩვენთან საუბარში სამეგრელოს გენდერული ქსელის წევრი ორგანიზაცია „დოსკურია“-ს თავმჯდომარე ნონა ხუხიაშვილი განაცხადა „ბენეფიციარებს არ უდირთ დახმარების დაკარგვა, პლიუს ის სხვადასხვა ბენეფიციარები, ამიტომ ოჯახი უკან იხევს მცირე ბიზნესის წამოწყებაზე. ამისათვის აუცილებელია სამომავლოდ ვიფიქროთ ქმედამ ერთად, რა თქმა უნდა გადაწყვეტილების მიმდებ



სტრუქტურებთან ერთად, არასამთავრობოებმა, მედია საშუალებებმა, რომ ამ პრობლემის გადაჭრა შეუძლიათ. ყურადღება იმ პრობლემა რომ დევნილთა უმრავლესობის შემოსავლის უმეტესი ნაწილი ჯანდაცვის პრობლემების მოგვარებაში და კვებაზე ხარჯავს, დანარჩენი სოციალური აქტივობა მათთვის ფუფუნებაა. პრობლემა არის ასევე ის, რომ ქვეყანაში საარსებო წყაროების გაუმჯობესებისათვის სხვადასხვა პროგრამები მუშაობს, მაგრამ ამის შესახებ არა თუ დევნილმა, არამედ მოსახლეობის 80%-მა არ იცის. ჩვენს ოფისი ამ შემთხვევაში ეხმარება პროექტების ჩართვაში. შედეგად გვაქვს, ჩამოგვყავს კორდინატორები და ხდება საზოგადოებასთან შეხვედრები, ჩვენს დახმარებით უკვე ბევრი ელოდება დაფინანსებას. იმიტომ არის ამ პროექტში თვითმართველობის ჩართვა საჭირო, რომ არ შეიძლება მარტო არასამთავრობო იფიქროს ამ საკითხზე. ჩვენ ადგილობრივ მოსახლეობასთანაც ისევე ვთანამშრომლობთ, როგორც დევნილ მოსახლეობასთან“.

დევნილობის ადგილებში დევნილთა ინტეგრაციისა და მათი შესაძლებლობების გაძლიერებას. ამიტომ სტრატეგია დევნილთა ღირსეული და უსაფრთხო დაბრუნებასთან ერთად დაფუძნდა დევნილი მოსახლეობისათვის ღირსეული ცხოვრების მხარდაჭერას და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათ ჩაბმას. ამას მოყვა კვლევები საერთაშორისო დონორ ორგანიზაციების დაფინანსებით, თუ რა საცხოვრებელი პირობები აქვთ დევნილ მოსახლეობას, რა საჭიროებები აქვთ, რა გამოწვევების წინაშე დგას სახელმწიფო მათი პირობების გაუმჯობესების მიზნით. ანუ დამოკიდებულებიდან თვითკმარობაზე ინტენსიურ გადასვლას უნდა შეუწყობდეს ხელი. კვლევითმა კომპანიამ „ესთიმ“ ჩატარდა ფართო მასშტაბიანი კვლევა, გამოიკითხა 500 იძულებით გადაადგილებული და ეკო მიგრანტი მოსახლეობა, იმ ადგილებში, სადაც ბოლო წლებში განთავსდნენ გრძელვადიან განსახლებებში. დაეინახეთ ძირითადი საჭიროებები, ძირითადი გამოწვევები, კვლევის შედეგად მიღებული შედეგები გათვალისწინებით ჩამოყალიბდა მიზნები, რომელიც გათვალისწინებული იქნება განხორციელების მხრიდან და განხორციელებული კვლევები დაედოს მომავალ პროგრამების განხორციელებას საფუძვლად“.

გავხადოთ ჩვენი გზა უსაფრთხო

მარიამ ჯავახია ფოტო

პროექტი „გავხადოთ ჩვენი გზა უსაფრთხო“ პირველი ეტაპის დასრულება ფოტოს სახელმწიფო დრამატულ თეატრში ღონისძიებით აღინიშნა. ღონისძიებას საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე ირაკლი ხერგიანი, ფოტოს მერი, საპარტულო პოლიციის დეპარტამენტის წარმომადგენლები და პროექტის ფარგლებში ჩატარებული კონკურსის მონაწილეები ესწრებოდნენ. ღონისძიება მსახიობ ჯანო იხორიას მიყვანა, მუსიკალურად კი ფოთელი ახალგაზრდა პიანისტი მზუჭაბუკ პაჭკორია აფორმებდა. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე ირაკლი ხერგიანი და მსურველთა კამპანიის ფარგლებში ჩატარებული აქტივობების შესახებ ანგარიში წარუდგინა და სამომავლო რეკომენდაციები გააცნო. პროექტი საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა, არასამთავრობო ორგანიზაცია „პარტნიორობა საგზაო უსაფრთხოებისათვის“-თან ერთად, მსოფლიო ბანკის დაფინანსებით განხორციელდა. პროექტის მიზანს 60 ჩქაროსნულ გზატკეცილსა და მის მიმდებარე საგზაო უსაფრთხოების შესახებ ცოდნისა და ცნობიერების ამაღლება წარმოადგენდა. კამპანიის 4 თვის განმავლობაში გრძელდებოდა და სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო ღონისძიებებს მოიცავდა.

კამპანიის ფარგლებში ჩატარდა 24 შეხვედრა როგორც მსუბუქი, ასევე სატრანსპორტის მძღოლებთან, რომლებიც მუდმივად გადაადგილებიან 60 ჩქაროსნულ გზატკეცილებზე. ასევე, საგანმანათლებლო ტრენინგები ჩატარდა გზატკეცილის მიმდებარე განლაგებული 15 სკოლის 1500-მდე მოსწავლესთან. შეხვედრები მოიცავდა როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ ნაწილს, რაც გულისხმობს ხელვალობის ღონისძიებებს და ქვეითებისათვის ამრეკლი საშუალებების (რეფლექტორები, ქილექტები) დარიგებას.

60 ჩქაროსნულ გზატკეცილსა და მის მიმდებარე საგზაო უსაფრთხოების შესახებ ცოდნისა და ცნობიერების ამაღლების კამპანიას „გავხადოთ ჩვენი გზა უსაფრთხო“ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი ტენდერით შერჩეულ არასამთავრობო ორგანიზაციასთან „პარტნიორობა საგზაო უსაფრთხოებისათვის“ ერთად ახორციელებდა.



საქართველოს რკინიგზა

ქალაქ ფოთის მოსახლეობის თხოვნით, სს „საქართველოს რკინიგზა“-ს 1 აგვისტოდან დაიმატა ახალი შემადგენლობა (874/873) თბილისი-ფოთი-თბილისის მიმართულებაზე. 4 ვაგონიანი ელექტრომობილური რეისებს უკვე ყოველდღიურად შეასრულებს და მგზავრებს ორივე მიმართულებით გადაიყვანს. მატარებელი ფოთიდან გამოდის 08:15 და თბილისში ჩადის 13:10. თბილისის ცენტრალური ვაგზიდან გავა 17:50, ფოთში ჩავა 22:45. საქართველოს რკინიგზა ბედნიერ მგზავრობას გისურვებთ!

„ლატკა“, დაღებულ სანუკრავი და სილიკონით დაწებებული მოაჯირი

ივანე ავაქიანი ფოთი

უკვე წლებია აღმაშენებლის ქუჩის №14,16,21 ბინის მობინადრეები სამართლის აღდგენას და დახმარებას ითხოვენ. ამ სახლებში მცხოვრებ მობინადრეებს ადგილობრივი ხელისუფლების სურვილი, ამ ბინების ფასადის მოპირკეთებისა და თავიდან გადახურვისა, საკმაოდ ძვირად დაუჯდათ. დღეს აღნიშნული სახლები მარმარილოთა მოპირკეთებული და სახლებში შეესაბამება ქალაქის იერსახეს. ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ შპს „ჯენერალ კონტრაშენ კომპანი-მ“ (დირექტორი, ალექსანდრე გუგუნავა) 2012 წელს ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ ბინები სანახევროდ გადახურული, ფინანსები „შექმული“ დატოვა და გაიქცა. წვიმის დროს ოთახებში ისევე წვიმდა, როგორც გარეთ. მობინადრეებს გაუფუჭდათ რემონტი, პატარებისათვის კი იქ ცხოვრება გაუაძლიერებდა. მოსახლეობამ ბინის თავიდან გადახურვის მოთხოვნით არაერთხელ მიმართა ადგილობრივ ხელისუფლებას. თუმცა, მათი მცდელობა წლების განმავლობაში უშედეგოდ მთავრდებოდა. ერთ-ერთ გაპროტესტებისას აპრილში აღნიშნული კორპუსის მობინადრეები საკრებულოს სხდომაზეც გახლენქალაქის აღმასრულებლებს ოთახში ამოსული სოკოთი და კითხვით, „თქვენ როგორ იცხოვრებდით სოკოანი სახლში“. მაშინ, ადგილობრივი

ხელისუფალი დაპირდნენ პრობლემის მოგვარებას. გახეთმა „მთავარი თემა სამეგრელოში“ არაერთხელ გააშუქა აღნიშნული პრობლემა და ხეობით თქმული ინციდენტებიც (№7,21-28 მარტი). აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თავიდან გახეთის დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი ამ სამშენებლო კომპანიის მიერ უსაფრთხოების არ ქონის თუ მუშების დაუდევრობის მსხვერპლი გახდა. თავიდან გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ შპს „ჯენერალ კონტრაშენ კომპანი-მ“-მ ამ სახლებში მხოლოდ ფასადის მოპირკეთება და სახურავის გადახურვა დაამთავრა. ამჯერად გახეთი დაინტერესდა თუ რა მდგომარეობა იყო კორპუსებში და გაცათ თუ არა რაიმე კომპენსაცია დაზარალებულებს. როგორც ადგილზე დათვალიერებისას აღმოჩნდა არაბინის კომპენსაცია დღემდე არ გაცემიათ და უფრო მეტიც ძლიერი წვიმის დროს ოთახებში ისევე წვიმს, არა იმ ინტენსივობით, რაც ადრე. მაგრამ მაინც აწვიმთ. კომპენსაციის მისაღებად კი სასამართლოში სარჩელი უნდა შეეტანათ, რასაც ექსპერტის დასკვნა უნდა დართოდა თან, რაც გარკვეულ ხარჯებთან იყო დაკავშირებული, რის გამოც ვერ შეძლეს კომპანიისათვის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა. მობინადრეები ადგილობრივ ხელისუფლებას გულგრილობაში ადანაშაულებს, რადგან მათი მოთხოვნა თავიდან გადახურათ სახურავი არ შესრულდა და

ის მხოლოდ შეკეთდა. მობინადრეების თქმით ახალმოსულმა კომპანიამ მუშაობა, წინა კომპანიის მუშაობისას დარჩენილი მასალებისგან დაამთავრა, „აკოწიწეს, მიაკოწიწეს, დააწებეს და ისე დაამთავრეს ვითომ, მათი მოტანილი მასალა აქ არავის უნახავს. რაც წინა კომპანიის გადარჩა მასალა, იმ ნარჩენი მასალით მოამთავრეს, სახურავს გამოცვლის ნაცვლად „ლატკა“ დაადეს ან წებო ჩაასხეს. ეს წებო მაქსიმუმ ერთი წელი გაძლოს. აივანზე ბეტონის ჩუქურთმები სილიკონის წებოთი დააწებეს, ისიც სანახევროდ“, ამბობს ერთ-ერთი დაზარალებული მარია გურაბანიძე. როგორც ჩვენთან საუბრისას ადგილობრივი ხელისუფლება აცხადებს - მზად არის დაზარალებულ მოსახლეობას ზარალი აუნაზღაუროს თუ ამას სასამართლო დააკისრებს, ეს კი, დაზარალებულების თქმით მოვალეობის თავიდან აცილებას ნიშნავს ილონა ... თქმით „გვიწავდა სასამართლოში შეგვეტანა სარჩელი, ავიყვანეთ ადვოკატი, ადვოკატმა კი გვითხრა უნდა ჩაგვეტარებინა ექსპერტიზა, რომელიც გარკვეული თანხა ჯდება და რომელიც ჩვენთვის ძვირი იყო. სწორედ ეს იცის ადგილობრივმა ხელისუფლებამ, რომ ვერ გადავიხდით ამდენ თანხას და ამიტომაც ამბობენ თუ სასამართლო დაგვაკისრებს ჩვენ გადავიხდით, ამით თავიდან გვიცილებენ?“. გურგენიძის თქმით სამუშაოები ჯერ კიდევ დაუმთავრებელია, თუმ-



ცა ხარაჩოები მოხსნეს, „ვივითომ შეცვალეს კომპანია და კიდევ უარესი მოიყვანეს. აივანზე ხელი რომ დავდე, ნაწილი მოძვრა, ერთი ფანჯარა დამთავრებული არ არის. ხარაჩოები, რომ მოხსნეს მათი აზრით დამთავრებული იყო სამუშაოები? ჟოლოფი ძალით გაგაკეთებინე, ზევით სახურავზე დატოვებული ქონდათ წყლის გადმოხსნა, რომელიც წვიმის დროს პირველი სართულის მაღაზიის წინ თქეშად მოდიოდა, მაღაზიაში შესვლა შეუძლებელი იყო. რამდენიმე ტელევიზია მოვიყვანეთ, გახეთშიც დაიბეჭდა ჩვენი პრობლემა მაგრამ პრობლემა პრობლემად რჩება. ტელეფონითაც გადაღებული მაქვს, თუ როგორ წვიმს შიგნით,

ვიყავით მერის მოადგილესთან, მერთან. ნიკა გრიგოლიამ სატელევიზიო ინტერვიუში განაცხადა „თუ სასამართლო ჩვენ დაგვაკისრებს დავალიანების გადახდას ჩვენ ვზად ვართ გადავიხდით“, როგორც ხალხი ამბობს, ჩვენ რა, ვივითომ, რომ ასეთი პრობლემა გვაქვს. მესამე სართულზე თითქმის ყველას გაუფუჭდა ბინა, მეორე სართულზე მეზობელთან საძინებელში გიფსოკარდონის ჭერი ჩამოვარდა და დღესაც მატრასებზე ძინავთ სხვა ოთახებში“.

დასასრული 4- 33.

საქართველოს პედაგოგთა პროფკავშირმა ფოთელ კლდელებს სასკოლო მზაობაში ტრენინგები ჩაუტარა

მარიამ ჯაფარიანი ფოთი

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირი აგრძელებს ტრენინგების ციკლს, ამჯერად ფოთის საბავშვო ბაღების პროფკავშირის აღმზრდელთა ტრენინგი ჩატარდა. ტრენინგს ცნობილი და პროფესიონალი ტრენერი ხარისხის მართვის ცენტრის ფალსიფიკატორი ირმა გრიგოლია უძღვებოდა. ამ ეტაპისთვის სასკოლო მზაობაში 90-მა აღმზრდელმა გაიარა. როგორც ცნობილია სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების აღმზრდელთა პედაგოგის სტატუსი 2017 წლის 1 სექტემბრიდან მიენიჭებათ, ხოლო მათ დამხმარეებს აღმზრდელის სტატუსი. ამის შესახებ „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ კანონპროექტში წერია.



კანონპროექტის თანახმად, 10-მდე სამთავრობო სტრუქტურა თავის თავზე აიღებს პასუხისმგებლობას ბავშვბაღების გამართულად მუშაობაზე. ამასთან, ყველა აღმზრდელ-პედაგოგი ვალდებული იქნება, გადაამზადება გაიაროს. კანონპროექტის მიხედვით, ყველა ბავშვბაღში უნდა შეიქმნას მშობელთა საკონსულტაციო საბჭოები. ასევე რეგულირებული იქნება ჯგუფებში ბავშვების რაოდენობაც.

2-3 წლის ბავშვთა ჯგუფში არაუმეტეს 25 ბავშვი უნდა იყოს, ხოლო რაც შეეხება აღმზრდელ-აღსაზრდელის თანაფარდობას, ეს თანაფარდობა არ უნდა აღემატებოდეს 1-13-თან. 3-4 წლიან ჯგუფებში უნდა იყოს არაუმეტეს 30 ბავშვი – მათი თანაფარდობა პედაგოგებთან 1-15-თან. ყველა ზედა ასაკობრივ ჯგუფშიც თანაფარდობის ანალოგიური სისტემა იმოქმედებს.

ჯგუფების მოცულობასა და პედაგოგების თანაფარდობის განმსაზღვრელი კანონის მუხლი, 2020 წლის პირველი სექტემბრიდან უნდა ამოქმედდეს. კანონპროექტთან დაკავშირებით განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ ლია გიგაურმაც გააკეთა არაერთი განცხადება. „როგორც კი ამოქმედდება კანონი, ჩვენ გვაქვს ჩვენი ვალდებულებები. მათ

შორისაა სკოლამდელი მზაობის პროგრამა, რომელიც უკვე დაწესებული გვაქვს. სტანდარტის დამტკიცებულია. შესაბამისად, როგორც კი კანონი ძალაში შევა, ჩვენც დავიწყებთ ყველა სხვა თანამდევს საკითხების დამტკიცებას“. როგორც ჩვენთვის ცნობილია სკოლამდელი მზაობის სწორედ ამ პროგრამით ჯერ კიდევ 2010 წლიდან ხელმძღვანე-

დასასრული 5- 33.

რეგიონული თეატრების საერთაშორისო ფესტივალური დასრულდა

ნიკა პაჭორია ფოთი

ფოთში, რეგიონული თეატრების საერთაშორისო ფესტივალური დასრულდა. ფესტივალში 18 ქართული სახელმწიფო რეგიონული და რამდენიმე უცხოური თეატრი მონაწილეობდა. ფესტივალის 2015 წელს დაფუძნდა. იგი კულტურულ სავანმანათლებლო ფონდი „დღეს“ ორგანიზებითა და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს და ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით ეწეობა. ფესტივალის დახურვის დღე გურამ ფირცხალავას მემორიალური დაფის გახსნით დაიწყო. ვალერიან გუნიას სახელობის თეატრის ფოთში კი კესო კალანდარიშვილის წიგნის „სიცოცხლე არდავიწყებისა და დიდების შარავანდედით“ პრეზენტაცია გაიმართა. მონოგრაფია საქართველოს დამსახურებულ არტისტს და ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, ფოთის თეატრის დირექტორს, რეჟისორს და მსახიობს (1954-80წ.წ.) სინო კალანდარიშვილს მიეძღვნა. წიგნის ავტორისა და სინო კალანდარიშვილის შვილის კესო კალანდარიშვილის თქმით წიგნი მამის 100 წლის იუბილეს მიუძღვნა. „2016 წელს მამას 100 წლის იუბილეა და გადავწყვიტე პატივი მიმეცო მამის ხსოვნისათვის და საზოგადოებისათვის გამეცნო მისი მოღვაწეობა, სიმბოლურია რომ წიგნის პრეზენტაცია ფესტივალის ფარგლებში შედგა“ - აღნიშნა მან.

სინო კალანდარიშვილის შემოქმედებაზე ისაუბრეს საქართველოს თეატრის კრიტიკოსთა კავშირის პრეზიდენტმა ნიკოლოზ წულუკიძემ, თეატრმცოდნე გურამ ბათიაშვილმა და მსახიობებმა. სინო კალანდარიშვილის მოღვაწეობაზე ისაუბრა მისმა უმცროსმა მეგობარმა გია დარჯანიამაც. „ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ვიტყვი, რომ ჩემთვის დიდი პატივია თქვენთან ერთად დგომა და სიტყვის თქმა ადამიანზე რომელმაც ქალაქის

საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი დაიკავა. სამწუხაროდ იმ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელსაც არ უნახავს სცენაზე სინოს მიერ შესრულებული როლები და მის მიერ დადგმული სპექტაკლები, მაგრამ ძალიან კარგად მახსოვს უკვე თეატრიდან წასული სინოსადმი ფოთელების მიერ გამოხატული ემოციები, როდესაც ქუჩაში გამოვიდოდა ან რომელიმე სპექტაკლს ესწრებოდა. ბატონ სინოს შეეძლო საქართველოს ნებისმიერი აკადემიური დასის ხელმძღვანელი ყოფილიყო მაგრამ მან მთელი ცხოვრება თავისი საყვარელი ფოთის თეატრის აღორძინებასა და განვითარებას შეაღწია. პერიოდულად გვკვირდება დღეს ასეთი ადამიანები, რადგან სინო კალანდარიშვილი თავისი ცხოვრების წესით ქალაქის სავიზიტო ბარათი იყო“.

კესო კალანდარიშვილმა პრეზენტაციის დასასრულს სტუმრებს საჩუქრად სინო კალანდარიშვილის იუბილისადმი გამოცემული წიგნი გადასცა. ფესტივალის დასკვნით დონისძიებას ფესტივალის ორგანიზატორები, ცნობილი სახეები, ხელოვნები, ადგილობრივი ხელისუფლებისა და თეატრალური სფეროს წარმომადგენლები ესწრებოდნენ. „ეს იყო ძალიან მნიშვნელოვანი და დიდი მოვლენა ფოთის კულტურის ცხოვრებაში“, ასე აფასებენ მას თეატრის მოყვარულები და მსახიობები.

გოგი ქვთარაძე, „ძალიან კარგია ეს ფესტივალური ფოთში რომ ტარდება, რადგან ფოთი თეატრალური ტრადიციების ქალაქია. ფოთის თეატრი დღეს აღმავლობის გზაზეა და მადლობა მინდა ვუთხრა ქალბატონ ნინელის ფესტივალის ფოთში ჩატარებისათვის. მინდა წარმატება ვუსურვო ფოთს და ფოთელებს“.



ნიკა წულუკიძე, „მიხარია, რომ ფოთი არის თეატრალური ეპიცენტრი და ნელ-ნელა სპექტაკლიდან სპექტაკლამდე მატულობდა მათემატიკა. ფოთის მათემატიკა არ იყო განვითარებული ამ დონის სტუმრებით და ნინელი ჭანკვეტაძის ინიციატივით თეატრალური ეპიცენტრად გადაიქცა. ამ ფესტივალს განსხვავებული ფესტივალის და სტიმულს აძლევს თეატრალურ და მოქალაქეებსაც. ვახსენებთ გურამ ფირცხალავას მემორიალური დაფა და მოეწყო კესო კალანდარიშვილის წიგნის პრეზენტაცია, ყოველთვის მზად ვარ, რითაც შემეძლება ფოთს დაუდგე გვერდით. გურამ ბათიაშვილი, „ამ ფესტივალს ძალიან დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ, იმიტომ რომ დარწმუნებული ვარ ეს ფესტივალის გაზრდის თეატრების პასუხისმგებლობის დონეს და მათემატიკას წარუდგენს მაღალხარისხიან სპექტაკლებს. ორიოდ

სიტყვა მინდა ვთქვა ბატონ სინოსადმი, ის იყო შესანიშნავი თეატრალური მოღვაწე, ადამიანი, რომელმაც დიდი კვალი დაამჩნია ფოთის კულტურულ ცხოვრებას და თეატრის ისტორიას“. ჯანო იზორია, „ეს არის ჩემი ქალაქის თანამედროვეობაში 21 საუკუნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა. ვუსურვებ ჩემს ქალაქს გაუფრთხილდეს ამ ფესტივალს და უფრო მაშტაბური გახდეს. ჩემი ქალაქი ძალიან სტუმართმოყვარე ქალაქია და ეს მარგალიტი, რომელიც ამ ქალაქში შეიძინა რეგიონალური თეატრის სახით არ მოშლილიყოს. გვეზიძობს 50-ე ფესტივალი, მომალ თაობასაც არ მოკლებოდეს ასეთი დღესასწაული“. ფესტივალის ვალერიან გუნიას სახელობის თეატრის სპექტაკლით დაიხურა. დასმა პენრიკ იბსენის „ხალხის შტრეი“ წარმოადგინა, რომლის რეჟისორი დავით მღებრიშვილია. სპექტაკლში დიდი მოწონება დაიმ-

სახურა, მათემატიკა ფესტივალზე ფოთის დასს, საზოგადოებამ ერთხმად აღნიშნა, რომ ტკბილი ლუკმა ბოლოსთვის იქნა შემონახული. თუმცა სპექტაკლმა საზოგადოების აზრი ორად გაყო, ნაწილისათვის სპექტაკლი ადგილობრივი ხელისუფლების ქილიკი იყო, ნაწილისათვის საუკუნეს გაძლევდა რეალობა. ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელის ნინელი ჭანკვეტაძის თქმით, „ფესტივალის შედეგად და ძალიან კმაყოფილი ვარ. ამათ დღემ ნაყოფიერად ჩაიარა, თემატურიც იყო, რომ ფოთის თეატრის სპექტაკლით დაიხურა. ფესტივალის ტრადიციული გახდა და მომავალი წლისთვის დარწმუნებული ვარ მისი მასშტაბები გაიზარდება“. ფესტივალის ყველა მონაწილეს, ფესტივალის სიმბოლო „ბროლის თოლია“ გადაეცა, რეჟისორის თეატრში შეტანილი წვლილისათვისთვის კი „ბროლის თოლით“, ფოთის უხუცესი მსახიობი, უუუნა ჩხვიძე დაჯილდოვდა.

„ლატკა“, დაღუპული სახურავი და სილიკონით დაწებებული მოაჯირი

დასაწყისი მე-3 მ.

გამო, კომპანიის თანამშრომელმა მითხრა, არ მიაწვევთ და არ ჩამოვარდებით. შიშით აივანზე არ გავიდეთ? პრემიერ მინისტრს ფაცებოლოკის გვერდზე მივუწერეთ ჩვენი პრობლემის შესახებ მაგრამ პასუხი და რეაგირება არსაიდან არ მიგვიღია. ყველამ ყველაფერი იცის, არავის არავის არ ეშინია. ამიტომაცაა ასეთი განუკითხაობა“. განაცხადა ერთერთმა მაცხოვრებელმა სრულიად საპირისპიროს ამტკიცებენ ინფორმაციები ურისა და მშენებლობის სამსახურში, ამბობენ წყალი მათ არ ჩამოსდით და ეს ყოველივე სიცრუეა. იმის მაგივრად, რომ მადლობა უთხრან ქალაქის ხელმძღვანელობას, უკმაყოფილოები არიან. „არასწორი ინფორმაციაა, ვერ დაგეთანხმდები, რომ იქ წვიმის წყალი ჩამოდის, ან უყურადღებოდ გეჭაკვს დატოვებული, მშენებლობის სამსახურის მთავარი სპეცია-

ლისტი მკვდარია ზევით ქვევით სიარულით. მოსახლეობა მართალია, შევდივარ მათ მდგომარეობაში, ვაღიარებთ, რომ წვიმა ჩაუვიდათ მაგრამ დღეს უკვე წვიმა წყალი არ ჩასდის არც ერთ მობინადრეს. წინა კომპანიამ ნოემბრის თვეში გადახსნა სახურავი, მოვიდა წვიმა და ყველას გაუფუჭდა ბინები, არ უნდა დაეწყო ნოემბერში მაგრამ მერიასთან რატომ აქვთ პრეტენზია, მერიამ თვითონ ასწავლა რა უნდა გაეკეთებინათ, რომ ზარალის ანაზღაურება მოუხდინოს, უარესი რა გაუუკეთეთ? ექსპერტიზა ახალმა მშენებელმა უფასოდ გაუკეთა, მიიტანონ ეს დასკვნა სასამართლოში. მერია ისე ვერ აუნახლაურებს ზარალს თუ სასამართლო გადაწყვეტილება არ იქნება. მათ კი იმ ექსპერტიზის პასუხით ინივლონ, თუ სასამართლო მერიას დააკისრებს ზარალის ანაზღაურებას, მერია ჩასვამს ბიუჯეტში და გადაიხდის“.

მშენებლობის სამსახურის უფროსი ზურაბ ჯამბურია ამ პრობლემის მთავარ მიზეზად, ტენდერებს ასახელებს, რადგან ქალაქს, გააღიხილებულ ტენდერში გამარჯვებული სამშენებლო კომპანიისგან მიტოვებული არა ერთი ობიექტი აქვს. „ეს ყველა პრობლემაა, რაც დღეს მშენებლობის კუთხითაა ქალაქში, ყველაფერი მაინც მიდის ტენდერამდე, თუ არ შეიცვალა ეს მეთოდი, ყოველთვის ასეთ პრობლემას წავაწყდებით“. რაც შეეხება აივანის მოაჯირის საკითხს, მშენებლობის სამსახურისათვის ესეც გაუგებარია და მობინადრეების შიშს „მუშის ხუმრობად“ და ძალად პრეტენზიად აფასებენ. „მოაჯირები ბეტონშია ამოყვანილი და თავისი დასამაგრებელი აქვს, ზემოდან 100 კილოგრამიანი ფილა ადევს, რომელიც ასევე მაგრდება, როგორ შეიძლება მიწოლით გადავარდეს? ვიღაცას ძალით თუ უნდა პრეტენ-

ზიის წაყენება არ ვიცი. თუ მუშამ ხუმრობით უთხრა ესეც არ ვიცი. რაც შეეხება მოაჯირის ნახევარ ჩუქურთმას, ჩვენ ფასადის მხარე ვავითვალისწინეთ, იმ ქვის კვადრატული მეტრო 200 ლარი ღირს. ქალაქის ცენტრალური ქუჩა იყო და იმიტომ გავაკეთეთ, თორემ დღეს მშენებლობის ჩვენ არ გვევალდებოდა. ძალიან დიდი პრეტენზიებით მოდიან, 14 და 16 ნომერი ინგურელი იმიტომ ავარჩიეთ ის სახლები რომ გრევეს გადაგვერჩინა“- გვითხრა მშენებლობის სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა ალექსანდრე შონიამ. ჩვენს შეკითხვაზე მიუხედავად სახლის ვიზუალური მხარისა, თუ შიგნით მოსახლეს ჭერი თავზე ჩამოემხობა, გარეთა ვიზუალს როგორ შეაფასებოს, შონია გაადიზიანა „რა არის ქალბატონო ჩამოსახობი, პატარა წვიმამ ჩამოაწვიმა და გაშვდა ჭერი, ვაღიარებთ, რომ ჭერი დაზიანებულია, ყვე-

ლა ოთახში ვარ ნამყოფი, ეს ფაქტია. მაგრამ გადახურვის შემდეგ იქ წყალი არ ჩასულა. ეს სახლები დაზარდვის პირას იყო, გაუმავრეთ საძირკვეთი, მარმარილოთი მოვუპირკეთეთ კედელი, სახურავი გამოვუცვალეთ, გამოვცვალეთ ფანჯარა, და ყველას გაუკეთდა ფერადი მეტალოპლასმასის ფანჯარები, აივანზე გაუკეთეთ რკინის კარები“. დავინტერესდით აგრეთვე, სახურავი გამოიცვალა როგორც ამას თავიდანვე ითხოვდნენ მობინადრეები თუ „დალატკავდა“, როგორც ამას დღეს აღნიშნავენ იქ მცხოვრებლები. როგორც გაირკვა სახურავი არ გამოუცვლიათ, მოხდა მისი შეკეთება, „სახურავის პრობლემა მთლიანად გამოსწორდა, იყო გარკვეული ადგილები სადაც პრობლემა იყო, მოხდა მისი შეკეთება და წყალი არ ჩამოდის“, აგვისტოსა შიგნით, თუმცა დაამატა და დაგვირდა რომ „თუ ხარვეზები დღესაც არის ჩვენ გადავამოწმებთ და გამოვასწორებთ, ჯერ არის ამის დრო“

გაზეთი „მთავარი თემა სამეგრელოში“, ახსნა და კონკურსი ქალბატონებისათვის

სახელმწიფო „ნარკოტიკული ქალი 2016,,

კვირას ფოტოგრაფიული კონკურსით გაიქცა მთავარი თემა სამეგრელოში და ახსნა და კონკურსი ქალბატონებისათვის. ამისთვის მთავარი თემა სამეგრელოში იხილეთ მთავარი თემა სამეგრელოში და ახსნა და კონკურსი ქალბატონებისათვის.

რედაქციის მისამართი: mtavaritsamegrelishi@gmail.com

ნარკოტიკული ქალბატონების შერჩევა მოხდება კონკურსის სახით. გაზეთში დაბეჭდილი სიახლოველი ბლანის მეშვეობით გამოვლინდება ნარკოტიკული ქალი.

ამჟამად მთავარი თემა № 4 კონკურსის სტუდია „მთავარი თემა“ სტუდიაში ქალბატონებისათვის

დარეჯან გეგეჭორიძე - „ყველაფერს ვღებ სექსუალურად, როცა მივალნავ, შემდეგ ისევ ახალს ვეძებ,,

„საკუთარ თავზე ძნელია საუბარი, მგონია რომ განვიღებ გზაზე შენმა საქმეებმა უნდა ისაუბროს, ჩემი საქმე და განვიღებ გზა, ჩემი გაზრდილი ბავშვებია“ ამბობს სტუდია „მთავარი თემა“ ხელმძღვანელი დარეჯან გეგეჭორიძე. რომელიც უკვე მეექვსე თაობას ზრდის. სტუდია 25 წლის წინ ჩამოაყალიბა, მიუხედავად მძიმე წლებისა დღეს ძალიან ტკბილად აგონდება მას და მის მოსწავლეებსაც.

„მასხოვს ერთ წელს თბილისიდან 12 ოქროს არწივი წამოვიღეთ, იქ არ ჩანდა ვინ მღეროდა, ნუმერაციით იყო, ბოლოს როდესაც გაირკვა, რომ „თეთრმა თოლიამ“ 12 ჯილდო მიიღო, თამაზ კოვიბიძის გაგვეზიარა, აღარ ჩამოვიდეთ ქალბატონო დარეჯან აწი ფესტივალზე“. ამბობს, რომ ფოტოს ნახსენებური მხარში უდგას და ეხმარება, ნახსენებურის დაფინანსებით იმყოფებოდნენ იტალიაში, ბულგარეთში. „რემონტიც კი ნახსენებურმა გაგვიკეთა, ჩემი ცხოვრების პრინციპია, არავის ვატყუებ და არ მიყვარს როცა მატყუებენ, სტუდიაში ერთ ბავშვთან სამი მასწავლებელი

მუშაობს. მშობელი რომელსაც ხარისხი არ აინტერესებს ჩემს სტუდიაში ბავშვს არ მოიყვანს. ვერ წაიყვან ბავშვს უცხოეთში, თუ არ მღერის, თუ არ ცეკვავს, ვერც თავს მოვიტყუებ და ვერც სხვას მოვატყუებ. მიყვარს „მოურჯულეღელ“ ბავშვთან მუშაობა, ის ნიჭიერია. პატარები ტირილით მოდიან, მაგრამ ცოტა ხანში სახლში წასვლა არ უნდათ. გაეზარდეს ძალიან ბევრი კარგი მომღერალი, შემოიღონ თამამად ვთქვა ვერსკვლავიც.

ქალბატონი დარეჯანი უკვე 18 წელია, რაც საერთაშორისო რანგის ჟიურის, არის სხვადასხვა საერთაშორისო ფესტივალის ჟიურის თავმჯდომარეც. არაერთი საშუალო მოწვევა ქონია საზღვარგარეთის ქვეყნებიდან, თუმცა მის ქვეყანას და ქალაქს ვერასოდეს შევლია. სწორედ უცხოელი კოლეგების დაქირებული მოთხოვნით 2013 გააკეთა ფესტივალის, სადაც 21 ქვეყანა ჩამოვიდა, მათ შორის რუსეთი. სექტემბერში ბათუმში არის ფესტივალის, სადაც ჟიურის თავმჯდომარე ვარ. როდესაც

გაგაკეთე საზღვარგარეთ ბათუმის პოპულარიზაცია, მითხრეს, რომ ჩვენ მოვდივართ, არა ბათუმში, არამედ შენთან, ეს ჩემთვის დიდი პატივი იყო“. თვლის, რომ კომპეტენტური ჟიურია და ვერაინ მიკროფონში ვერ დააღწა და ვერაინ იტყვის „დარეჯანის ყიდვა შეიძლება“, თუმცა სიყვარულით ყველაფერს გააკეთებს. „მასხენდება ასეთი შემთხვევა, როდესაც ერთ-ერთ საერთაშორისო ფესტივალზე საზღვარგარეთ, როგორ უთხრა ერთ-ერთი კონკურსანტის მშობელმა მეორეს, „არ იხერხილო, ჟიურში ქართველი ზის და ყველაფერი კარგად იქნება“, ამაზე დიდი ბედნიერება რა არის“.

გეგეჭორიძემ ასევე გაიხსენა ინციდენტი ვენეციის ფესტივალზე, სადაც ჟიურის წევრი იყო. თბილისიდან ჩასულმა ჯგუფის ხელმძღვანელმა ჟიურის თავმჯდომარეს უთხრა, ეს ქართველი ვინ არის, ჩვენ არ ვიცნობთ, ჩვენში ცნობადი სახე არ არისო. იტალიელი ჟიურის თავმჯდომარის პასუხი კი იყო, ჩვენ 18 წელია ვიცნობთ და თქვენ თუ არ იცნობთ ეს თქვენი პრობლემააო. მისთვის უპატივებელია დალატი და უმადურობა. მიიჩნევს, რომ მტრები სწორედ ფესტივალების შემდეგ გაუჩნდა. ნოემბერში გაიმართება „მთავარი თემა“ რიგით მეოთხე ფესტივალის, სახანამ სული მიდგას ყოველთვის გაგაკეთებ, ჩემს შემდეგ კი ჩემი ბავშვები გააგრძელებენ, თუმცა ძალიან ბევრი სიბინძურე მომავლეს. სტუდიას არ უყურებს, როგორც შემოსავლის წყაროს, სპირიტით კერძო ბიზნესიდან აფინანსებს სტუდიის პედაგოგებს. არ აქვს საკუთარი საცხოვრებელი



ლი სახლი, რადგან 2008 წელს საკუთარი სახლიდან დაინახა რომ თავისი სისასტიკით, რადიკალურად შეცვალა აზროვნება ცხოვრებაზე. „ყველაფერი ჩემი თვლით დაეინახე, თუ როგორ ცვიოდა ბომბები ზემოდან, ზუსტად სამი დღე ვფიქრობდი, რომ ცხოვრება წარმატებულია“. არ ფიქრობს, რომ პროფესიას მისი პირადი ცხოვრების მოწყობაში ხელი არ შეუშლია, „მართალია ოჯახი ჩემი პროფესიის გამო დამენარა, მაგრამ უბრალოდ მეუღლე აღმოჩნდა სუსტი ადამიანი. მე ძალიან მიყვარს ჩემი ქალაქი და ჩემი ბავშვების გამო ვარ სწორედ აქ“.

გაზრდილი წარმატებული ბავშვების. პედაგოგი რომელსაც ყავს მოსწავლე, რომელსაც მსოფლიო იცნობს, ეს ბედნიერებაა, ასეთება გენო გურალია, ჯანო იზორია, თონა მისია, მანხო ცენტრადე, დათო მაკალათია, უცებ ყველა არ გამახსენდება და არ მინდა მიწყინოს. გასულ თვეს გეგეჭორიძის მოსწავლე მანანიკო ცენტრადე შევედეთ ფესტივალისგან გრამპრით ჩამოვიდა. ფიქრობს, რომ არა მტრები, იმდენად ზარმაცია ამდენს ვერ მიაღწევდა. „მტრები ჩემი სტიმულატორები არიან. მაქვს ისეთი ხასიათი, რომ რასაც მიკრძალავენ იმას ვაკეთებ, ჩემი ადრენალინი ეხ. მაინტერესებს შევძლებ თუ არა იმის გაკეთებას, რასაც ჩემში სხვებს ეჭვი ეპარება. ყველაფერს ვღებ საქმეში, როცა მივადწევ, მეორედ ამის გაკეთება არ მინდა, შემდეგ ისევ ახალს ვეძებ“.

კონკურსი „ნარკოტიკული ქალი,, კუპონი №6

კონკურსანტის სახელი და გვარი: ჩვენი მისამართი: ფოთი, წმინდა ნინოს 3/2,

საქართველოს პედაგოგთა პროფკავშირმა ფოთელ კლდედებს სასკოლო მზაობაში ტრენინგები ჩაუტარა

დასაწყისი მე-3 გვ. ლობს საქართველოს ბაღების გარკვეული ნაწილი. როგორც აღმოჩნდა ფოთის სააღმზრდელო დაწესებულებებისგან განსხვავებით სამეგრელოს ზოგიერთი საბავშვო ბაღებიც ხელმძღვანელობდნენ ამ პროგრამით. სწორედ ამ პროგრამის საკითხებს მოიცავდა ტრენინგი. როგორც ტრენინგი გრიგოლია ამბობს „ტრენინგი ეძღვნებოდა როგორც სასკოლო მზაობას ისე ზოგადად მასწავლებლის სტანდარტს თუ როგორ უნდა იყოს მასწავლებელი, რა უნარ ჩვევებს უნდა ფლობდეს და როგორ უნდა წარმართოს ახალი ფორმირებით სასწავლო პროცესი“. გრიგოლიას განმარტებით მიუხედავად იმისა, რომ ფოთის ბაღებში წლების განმავლობაში აღნიშნული პროგრამით არ მიმდინარებოდა სასწავლო პროცესი ფოთელ აღმზრდელებს შესწავთ უნარი და გააჩნიათ პოტენციალი აქტიურად აუწყონ ფეხი

ახალ გამოწვევას. საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირების ფოთის საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარის ინგა გვასალიას თქმით: „ჩვენი ორგანიზაცია ყოველწლიურად მართავს პედაგოგებისთვის და აღმზრდელებისთვის ტრენინგებს, ამით ხელს გუწყოთ ჩვენ წევრ პედაგოგებს გამოცდებს მომზადებულები შეხვდნენ და გახდნენ სერთიფიცირებულები და ასევე აღმზრდელებს თავიანთი პროფესიული უნარჩვევები გაიძლიერებინა. ამჯერად აღმზრდელები მომავალი წლიდან სხვა გამოწვევების წინაშე დადგებიან. ამიტომ ჩვენი ორგანიზაცია ცდილობს ჩვენი წევრები ღირსეულად შეხვდნენ ამ გამოწვევებს. პირველ დღეს ტრენინგს 30-მდე აღმზრდელი ესწრებოდა, მაგრამ იმდენად მნიშვნელოვანი და საინტერესო გახლდათ, რომ მეორე დღისთვის დამსწრეთა რიცხვმა 50-ს გადააჭარბა, სულ 90-მა აღმზრდელმა გაიარა ტრენინგი“.



ბა, სულ 90-მა აღმზრდელმა გაიარა ტრენინგი“. ტრენინგებით კმაყოფილები დარჩნენ აღმზრდელებიც, როგორც ისინი ამბობენ: „რამდენიმე ტრენინგ- სემინარებზე ვართ ნამყოფი, მაგრამ რაც ამ ტრენინგზე მივიღეთ ცოდნა და

ინფორმაცია, შეიძლება თამამად თქვას, სხვა არცერთ ტრენინგზე არ მიგვიღია. ძალიან კმაყოფილი ვართ. მადლობა პროფკავშირის მხგავსი პროექტების განხორციელებისათვის და ასე რომ ზრუნავს თავის წევრებზე“.

როგორც გვასალია ამბობს ტრენინგების ციკლი მომავალი მოდულით გაგრძელდება და ტრენინგებს არამარტო პედაგოგები და აღმზრდელები, არამედ სხვა პოზიციებზე დასაქმებულებიც გაივლიან.

ორბი ჯგუფის პროექტმა მსოფლიო აღიარება მოიპოვა

„ორბი თეინ თაუერს“ - ორბი ჯგუფის ახალი გრანდიოზული პროექტია 4 500 ნომრით, რომელიც ბათუმში შავი ზღვის სანაპიროზე შენდება და მსოფლიოში სასტუმრო ნომრების რაოდენობის მხრივ მე-9 ადგილს იკავებს. ამ პროექტმა პანამაში „2016 წლის მსოფლიო საუკეთესო საინვესტიციო პროექტის“-ტიტული მიიღო და კომპანია „ორბი ჯგუფს“ „ოსკარის“ გადაეცა უძრავი ქონების სფეროში.

პროექტზე პრიზზე და მის მნიშვნელობაზე უფრო ვრცლად, კომპანია „ორბი ჯგუფის“ გენერალურ დირექტორს, ირაკლი კვეციანიძეს ვესაუბრეთ. „ორბი ჯგუფმა“ ბათუმში მსოფლიოს მნიშვნელობის პროექტის მშენებლობა დაიწყო. რას ნიშნავს მსოფლიოში სიდიდით მე-9 სასტუმრო კომპლექსის მშენებლობა კომპანიისათვის და როგორია მსოფლიოს პირველი ათეული?

მსოფლიოს პირველი ათეული ახე გამოიყურება:

1. ლას-ვეგასი - The Palazzo Resort Hotel & Casino - 8108 ნომერი;
2. მოსკოვი - izmailovos სასტუმრო კომპლექსი -7500 ნომერი;
3. ლას ვეგასი - The Signature at MGM Grand - 6772 ნომერი;
4. მალაიზია - First World Hotel - 6118 ნომერი;
5. ლას-ვეგასი - Encore Las Vegas - 4570 ნომერი;
6. ბათუმი - „ORBI Twin Tower“ - 4 500 ნომერი;
7. ლას-ვეგასი - Luxor Hotel&Casino - 4 400 ნომერი;
8. ლას ვეგასი - Mandalay bay - 4337 ნომერი;
9. ტაივანდი - Ambassador City - 4210 ნომერი;
10. ლას ვეგასი - The Venetian - 4027 ნომერი;

„ორბი ჯგუფი“-სათვის ძალიან საამაოა ის ფაქტი, რომ სასტუმრო ნომრების რაოდენობის მხრივ მსოფლიოში სიდიდით მე-9 სასტუმრო კომპლექსის მშენებლობა დაიწყო. ეს პროექტი სცილდება რეგიონულ მნიშვნელობას და კომპანიას და ბათუმს, როგორც ტურისტულ ქალაქს მსოფლიოში სხვა დატვირთვის ანიჭებს. „ორბი თეინ თაუერს“ შესახებ დეტალური ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ჩვენ ვებგვერდზე: www.orbigroup.net

ბატონო ირაკლი, თქვენ ახლახანს დაბრუნდით პანამიდან, სადაც „ორბი ჯგუფის“ პროექტმა „ორბი თეინ თაუერსი“, მსოფლიო დონის აღიარება მიიღო. რამდენად მნიშვნელოვანია FIABCI Prix d'Excellence ქვეყნისთვის?

კარგი შეითხვია. როდესაც კომპანიის მიერ წარდგენილ პროექტს მსოფლიოში საუკუ-

თესო საინვესტიციო პროექტად აღიარებენ, როგორც ეს მოხდა „ორბი თეინ თაუერს“ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ კომპანიის გამარჯვება არ არის, ეს ქვეყნის გამარჯვებაა.

რაც შეეხება თავად FIABCI Prix d'Excellence, ის ყველაზე პრესტიჟული ჯილდოა. ეს იგივე „ოსკარია“. მსოფლიოში ამაზე დიდი ჯილდო უძრავი ქონების სფეროში არ არსებობს. ფიაბსი, უძრავი ქონების საერთაშორისო ფედერაციაა, რომელიც პარიზში, 1948 წელს ევროპის, ამერიკის წამყვანმა დეველოპერებმა და უძრავი ქონების სპეციალისტებმა დააფუძნეს. 1954 წელს ფიაბსის მიზნობა გაეროს სოციალურ-ეკონომიკურ საბჭოში, ოფიციალური კონსულტანტის სტატუსი. ეს ერთადერთი ორგანიზაციაა უძრავი ქონების სფეროში, რომელიც გაეროს ტრიბუნალზე სიტყვით გამოდის.

ფიაბსის პრიზ ექსელენსის მფლობელები, სხვადასხვა დროში გახდნენ ისეთი პროექტები, როგორცაა-ტრამპ-თაუერი ნიუ იორკში, გუგენჰაიმის მუზეუმი ბილბაოში, პეტრონასის თაუერი კუალა-ლუმპურში, პარიზის დისნეი ლენდი, მილენიუმ პარკი ჩიკაგოში, REPUBLIK PLAZA - singapurSi, THE PALACE - ტაივანში, SINAR MAS LAND PLAZA - ინდონეზიაში, ORWEST BUSINESS PARK - სიდნეიში და ბევრი სხვა ცნობილი არქიტექტურული და უძრავი ქონების წარმატებული პროექტი. ეს ჯილდო იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ყველა ეს კომპანია ამით ამაყობს და ეს აღიარება გახდა ამ კომპანიების წარმატების მნიშვნელოვანი საფუძველი. გარდა „ორბი ჯგუფისა“, ამ დრომდე აღნიშნული პრიზის მოპოვება პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან, ვერც ერთმა კომპანიამ ვერ შეძლო. კონკურსზე წარმოდგენილი იყვნენ მეგაკომპანიები ამერიკიდან, ჩინეთიდან, სინგაპურიდან, დუბაიდან, მალაიზიიდან, იაპონიიდან და ევროპის ქვეყნებიდან, რომელთა ბიუჯეტი, არამარტო ჩვენი კომპანიის, არამედ ჩვენი ქვეყნის ბიუჯეტს 15-ჯერ, 20-ჯერ აღემატება. სწორედ ამ მეგაკომპანიების მიერ წარმოდგენილ პროექტებს შორის, მსოფლიოს 40 ქვეყნის ყველაზე კომპეტენტური და საერთაშორისო დონის ექსპერტებით დაკომპლექტებულმა 70 წევრიანმა ჟიურიმ, რომელიც 6 თვის განმავლობაში სწავლობდა კომპანია „ორბი ჯგუფს“ და მის პროექტს, „ორბი თეინ თაუერს“ 2016 წლის მსოფლიოს საუკეთესო საინვესტიციო პროექტად ერთხმად აღიარა. ფიაბსის ისტორიაში ჟიურის მიერ ასე ერთხმად მიღებული გადაწყვეტილების პრეცედენტი

არ არსებობს, რასაც დაჯილდოების ცერემონიაზე განსაკუთრებულად გაუსვა ხაზი თავად ფიაბსის პრეზიდენტმა.

„ორბი თეინ თაუერსი“ კომპანია „ორბი ჯგუფი“ აპარტამენტების რეალიზაციას ახორციელებს. რითი განსხვავდება აპარტამენტი ჩვეულებრივი ბინისგან?

აპარტამენტი, ისევე როგორც საცხოვრებელი ბინა, მყიდველის კერძო საკუთრებაა. იგი საკუთრების უფლებით აღიარდება მყიდველზე საჯარო რეესტრში და იურიდიულად, საკუთრების უფლების კუთხით არანაირი სხვაობა საცხოვრებელ ბინასა და აპარტამენტს შორის არ არის. აპარტამენტის სტატუსი გამოდინარეობს იქედან, რომ იგი განთავსებულია მრავალფუნქციურ სასტუმრო კომპლექსში, რომელიც მოიცავს 5 ვარსკვლავიანი სასტუმროს დონის სრულ ინფრასტრუქტურას და მომსახურებას, როგორცაა რეცეფცია, კონსიერჟ სერვისი, რუმს სერვისი, დაცვა, ტექნიკური მომსახურება, კაზინო, სპა ცენტრი, ღია და დახურული აუზები, კაფეები, რესტორნები, სავაჭრო ზონები, საბავშვო მოედნები, სამედიცინო ცენტრი, და ა.შ.

მესაკუთრე არ არის შეზღუდული იცხოვროს საკუთარ აპარტამენტში. ის თავადვე განსაზღვრავს როდის გამოიყენებს აპარტამენტს ცხოვრებისათვის, როდის დასვენებისთვის, როდის მოახდენს მის გაქირავებას. მესაკუთრის სურვილის შემთხვევაში „ორბი ჯგუფი“ უზრუნველყოფს აპარტამენტის გაქირავებას, რითაც აპარტამენტის მფლობელს სტაბილური შემოსავლის წყარო უზრუნველავს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მრავალფუნქციურ სასტუმრო კომპლექსში 5 ვარსკვლავიანი სასტუმროს დონის ინფრასტრუქტურის და მომსახურების არსებობა ძალიან დიდ მოთხოვნას აჩენს მის დაქირავებაზე და ეს გარემოება იძლევა ამ აპარტამენტების მაღალ ფასად და მაღალი დატვირთვით გაქირავების შესაძლებლობას.

მალიან საინტერესოა - როგორ შეიძლება დაინტერესებულმა პირმა შეიძინოს აპარტამენტები „ორბი თეინ თაუერსი“, რა პირობებით და რა სარგებელი შეიძლება ჰქონდეს მას ამ შენაბეინდან?

„ორბი თეინ თაუერს“ უნიკალური არქიტექტურა და ადგილმდებარეობა აქვს, იგი ზღვიდან 50 მეტრში, მოცკვაპე შადრევენთან შენდება. ამასთან, ყველა აპარტამენტს შესანიშნავი ზღვის ხედი აქვს.

„ორბი თეინ თაუერსი“ აქციაა, ასეთია „ორბი ჯგუფის“ ტრადიცია ყველა პროექტის დაწყების დროს. შესაბამისად, აქციის პერიოდში საუკეთესო ფასად არის შესაძლებელი აპარტამენტების შექნა. აქციის ფარგლებში, რომელიც 2016 წლის 1 სექტემბრამდე ვრცელდება, „ორბი თეინ თაუერსი“ აპარტამენტის ღირებულება 17 500 აშშ დოლარია. პირველადი შენატანი 1 700 აშშ დოლარია, ხოლო ყოველთვიური შენატანი 250 აშშ დოლარს შეადგენს. მყიდველს შეუძლია აპარტამენტები იტალიური ავეჯით, ევროპული სტანდარტის რემონტით და ტექნიკით შეიძინოს.

კომპლექსში არსებობს, როგორც სტანდარტული, ასევე ლუქსის და უფრო მაღალი სტანდარტის აპარტამენტები. არის ისეთი ტიპის აპარტამენტებიც, სადაც თითოეული აპარტამენტის ღირებულება ხუთასი ათას, ერთ მილიონ და მილიონახევარ აშშ დოლარსაც აღწევს.

რაც შეეხება სარგებელს შენაბეინდან-მინდა აღვნიშნო, რომ



უძრავი ქონების შექმნისას, ინვესტირებისას ორი ძირითადი ფაქტორია გასათვალისწინებელი: 1. რა სტაბილურ შემოსავალს მოგვცემს შექმნილი უძრავი ქონების გაქირავება.

2. როგორ გაიზრდება შექმნილ უძრავი ქონებაზე ფასი, შექმნის შემდეგ.

სტანდარტული აპარტამენტის გაქირავების შედეგად ყოველწლიური სტაბილური შემოსავალი საორიენტაციოდ 5-6 ათასი აშშ დოლარია. რაც შეეხება შექმნილი აპარტამენტის ფასის ზრდას მშენებლობის დაწყებიდან მშენებლობის დასრულებამდე - აპარტამენტის ღირებულება, მინიმუმ 2-ჯერ იზრდება. „ორბი თეინ თაუერსი“ მშენებლობის ხანგრძლივობა 24 თვეს შეადგენს.

„ორბი თეინ თაუერსი“, 2016 წლის მსოფლიოს საუკეთესო საინვესტიციო პროექტად იქნა აღიარებული. ზღვიდან 50-მეტრში, ბათუმში, საუკეთესო ადგილზე შენდება, კომპლექსში 5 ვარსკვლავიანი სასტუმროს დონის ინფრასტრუქტურა, ხელმისაწვდომი ფასით და მაღალი მოქნილი გადახდის სისტემა. მალიან მომხიბვლელი პირობებია და ფიქრობ, რომ საკმაოდ დიდი იქნება დაინტერესებულნი რამდენად აქტიურად ყიდულობენ საქართველოში მცხოვრები მოქალაქეები აპარტამენტებს თქვენს პროექტებში და როგორია ქვეყნის გარეთ გაყიდვების დინამიკა?

„ორბი ჯგუფმა“ შეძლო შეექმნა ისეთი პროდუქტი, რომელიც საინტერესო იქნებოდა, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ მცხოვრები მოქალაქეებისთვის. სწორედ ამიტომ, „ორბი ჯგუფს“ დღეისთვის მსოფლიოს 7 ქვეყანაში 30-მდე ოფისი აქვს, 2016 წლის ბოლომდე კი, უცხოეთში დამატებით გაიხსნება კომპანიის კიდევ 50 წარმომადგენლობა.

„ორბი ჯგუფის“ მრავალფუნქციურ სასტუმრო კომპლექსებში შექმნილი აპარტამენტი მხოლოდ უძრავი ქონება არაა, ის ბიზნესი და სტაბილური შემოსავლის წყაროა. „ორბი ჯგუფში“ აპარტამენტის შექმნის ძალიან მოქნილი და მარტივი სისტემაა, შესაბამისად, საქართველოში მცხოვრები პირებისთვისაც, ვისაც პირველად შენატანის სახით 1 700 აშშ დოლარის შესაძლებლობა აქვს, ხოლო ყოველთვიურად 250 დოლარამდე გადაიხდის, „ორბი ჯგუფში“ აპარტამენტის შექმნა შეუძლია. ამის გათვალისწინებით, ჩვენი თანამოქალაქეები საკმაო აქტიურობით გამოირჩევიან და შესაბამისად, მყიდველებიც ბევრი გვეყავს, როგორც ქალაქებიდან, ისე საქართველოს თითქმის ყველა რაიონი-

დან. გარდა ამისა, ბევრია შემთხვევა, როცა საქართველოდან წასული პირები ყიდულობენ აპარტამენტებს იმ მიზნით, რომ საქართველოში მცხოვრებ მშობლებს, ოჯახის სხვა წევრებს, სტაბილური შემოსავლის წყარო გაუზიარონ. ამასთან, დასვენების პერიოდში აპარტამენტებში თავადც ისვენებენ.

აპარტამენტები საინტერესოა იმ პირთათვის, ვინც დაქირავებული მუშახელია, მუშაობს პროფესიით (მაგალითად: იურისტები, ბუღალტრები, აუდიტორები, ექიმები და ა.შ.) და ბიზნესის დამოუკიდებლად წარმოების შესაძლებლობა არ გააჩნიათ, მოქნილი გადახდის პირობებით აპარტამენტების შექმნის, სტაბილური შემოსავლის წყაროს ინენ და არც მათ პროფესიულ საქმიანობაში ეშლებათ ხელი. როგორც აღვნიშნე, გაქირავებას და აპარტამენტის ოპერირებას „ორბი ჯგუფი“ უზრუნველყოფს და მყიდველს საკუთარ ანგარიშზე ყოველთვიურად კრიცხება გაქირავებიდან მიღებული თანხა. დაინტერესება ძალიან მაღალია ქვეყნის გარეთაც, ისეთ ქვეყნებში, როგორცაა: გერმანია, პოლონეთი, რუსეთი, უკრაინა, ლატვია, ლიტვა, ყაზახეთი, ბელარუსი, ისრაელი, ამერიკა, დუბაი, ყატარი და ა.შ.

მას შემდეგ, რაც „ორბი თეინ თაუერსი“ 2016 წლის მსოფლიოს საუკეთესო საინვესტიციო პროექტად იქნა აღიარებული, კიდევ უფრო მეტად გაიზარდა დაინტერესება უცხოეთში. დღეის მდგომარეობით მსოფლიოს 35 ქვეყნიდან გვეყავს მყიდველი.

თუ შეგიძლიათ გვიამბოთ, „ორბი ჯგუფის“ სამომავლო გეგმების შესახებ?

„ორბი ჯგუფი“ ახლო მომავალში თბილისში იწყებს მასშტაბურ პროექტს. გარდა ამისა, „ორბი ჯგუფი“ პირველი იქნება ქართულ კომპანიებს შორის, რომელიც მომავალი წლიდან ქვეყნის გარეთ დაიწყებს რამდენიმე პროექტის განხორციელებას. კომპანია, ბევრი სხვა, ახალი პროექტისა და მიმართულებების განვითარებას გეგმავს.

კიდევ ერთხელ მინდა მოგილოცოთ „ორბი თეინ თაუერსი“ მსოფლიო აღიარება. მაღლობს გიხდით ინტერვიუსთვის და წარმატებებს გისურვებთ. ამასთან, გთხოვთ გვითხროთ როგორ დაუკავშირდნენ კომპანიას აპარტამენტების შექმნის მსურველები?

ტელეფონი: 0 800 100 115; ზარი უფასოა: +995 555 33 00 00, +995 555 32 00 00, +995 555 35 00 00; ვებ გვერდი: www.orbigroup.net ელ. ფოსტა - baTumi@orbi.ge

FIABCI Prix d'Excellence Award
ორბი ჯგუფის-ს მსოფლიო აღიარება!

ორბი ჯგუფი
ORBI GROUP

17 500 \$

+995 555 32 00 00

www.orbigroup.net

ფოთელის მოსაზრება საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით

ქათი ხაბანი
ფოთი

ძვირფასო მკითხველებო
გაზეთი
„მთავარი თემა სამეგრელოში“
იწყებს ლექსების ბეჭდვას.
ნებისმიერ თქვენთაგანს
შეგიძლიათ გამოგიგზავნოთ
ლექსები რელაქციაში

ივლო ოტობარი

არ ვიცი ძველად როგორ უყვარდათ, ვწევარ გულად ღამეს ვათენებ და ვხედავ განზე უხმოდ გადადო მთვარემ ღრუბლების რუხი საფერფლე. მე კი პირიქით, ვარდისფერ დასტას მოგონებების, სკივრიდან ვიღებ ეს მონატრება იქამდე გასტანს ვიდრე ვიღაც სხვა ამირევს ფიქრებს. ან სამუდამოდ დარჩება ჩემში თაფლისფერ ზღვათა ტალღის ტელაშუნი მე სიყვარული მეტად ვერ შემშლის ისედაც გიჟად ვარ შერაცხული. სწორედ ამიტომ შენ ნუღარ სწუხარ არის რაღაცის დათმობა ერთობ ცხოვრება, რადგან წაგავს ბუხარს არ მოხერხდება სულ ცეცხლი ენთოს, ხანდახან კვამლით გაავსებს ოთახს ხანაც გაგვატობს ან რა ქნას მეტი, ვის უსწავლია პირდაპირ ლოცვა თუ ვერ იპოვა თავისი ღმერთი?! მანამდე ტკივილს მაჯვებში ვმალავ არააოტურ ძარღვების შიგნით უნდა მიყვარდნენ ამიკრძალავ სანამ ვსუნთქავ და რაღაცად მიღირს ხელს შერჩენილი თითების სითბო, ჩემს ხელისგულებს წლებია დააქვთ და ვინაიდან არაფერს ვითხოვ შენგან უბრალო შენდობის გარდა... მე ვერ ჩავაქრობ გრძნობების ბუხარს, გთხოვ, ნუღარ სწუხარ ...

მე, შენ და ჩვენთვის უცნობი ღმერთი, გრძნობებზე მეტი მითხარი რა მაქვს, და სიყვარულიც ყურძნის წვენივით, თრობის ეფექტით მოჰყვება ამბავს, თუ როგორ დევნის ბედი ტიალი ოცნებებს, რწმენას, მომავლის იმედს, შენ ჩემს თვალზე მოხეტიალე. სულ ერთი ცრემლით ხარ სხვებზე მძიმე. და როცა ვმარცვლავ წარსულის სათლში ჯერაც გუშინდელ ბავშვურ ანცობას, ვხედავ შენამდე ვერ გავიღებ მანძილს, მეჩვენება, რომ სათამაშო ვარ: ცხოვრების, მერე ჭერი ქანაობს ბზარავს ოსტატის ნაფერებ თიხას, გაჭირვების ჟამს ვსტუმრობ მამაოს, რომ უფრო ჩემი თავისგან მიხსნას, თორემ ამ სულში ქარები ქრიან, არ გავს, ძვირფასო, შხაპუნა წვიმებს შენ წახვალ, ალბათ, ადრე თუ გვიან, ან დაიკავეს ჩემს ადგილს ვინმე. მე, შენ და ჩვენთვის უცნობი ღმერთი, ასე იწყება ერთგვარი დრამა, რა უნდა გითხრა, დუმილზე მეტი, როცა სათქმელი თვალებით დამაქვს.

მტრელები ენგური ჰყვება შორეულ ამბავს, მისი ჩურჩული მიწუხებს მუხებს, ოდესღაც ერთი მირონით ნაბან ორ ერს დღეს ჯანდი აწვევა გულზე. ავერ, ხილია მოწმე წარსულის, ფერფლად ქცეულა სამურზაყანო, ძიძიშვილობის დროა გასული, რა გეშველება, ჩემო აკვანო?! დღეს ვინდა ურწევს სიყვარულს, ნეტავ, სევდის მარწუხი გატყდება, როდის? შენ, ძიძავ, ჩემო მეორე დედავ, კვლავ ატირებულს გიხილავ მგონი... ვის ვისგან ვიცავთ? ვიბრძვით მიწისთვის, ჩვენგან კი მიწა დარჩება მხოლოდ, დრო აღარ გვრჩება სწორად ფიქრისთვის ომია ამის თავი და ბოლო! უბით მოგიყვან, გაირდები, მტრელებს, ძიძავ, მიიღე, როგორც სიმბოლო და მიმიკარი ძლიერად მეკრძხე, ამ გაზაფხულზე აღარ ვიგლოვით. მშვიდობის მკონსებს გავეუშვებ ცაში, დაე, მოედონ ჩვენს ტურფა მხარეს, ჰორიზონტს ფარავს მტრელების მარში, ამოგიკოცნი ცრემლიან თვალებს.

საპარლამენტო არჩევნებამდე ორი თვე დარჩა და დავინტერესდით რას ფიქრობს ფოთელი მოსახლეობა. როგორი იქნება მათი აქტიუობა არჩევნებზე, თუმცა გამოკითხული ნაწილის მიხედვით თუ ვიმჯღელებთ საკმაოდ ბევრი ადამიანი არ აპირებს არჩევნებში მონაწილეობის მიღებას. დღევანდელი ხელაფუფლებით უკმაყოფილო ადამიანები არ აპირებს ქართული ოცნებისთვის ხმის მიცემას, მიზეზად კოალიციამ მათი იმედები არ გაამართლა, მაგრამ არის ელექტორატთა ნაწილი, რომლებიც თვლიან, რომ ქართულმა ოცნებამ ყველაფერი, თუ არა რაღაც მაინც გააკეთა და ამის დაუნახაობა უსამართლობა იქნება. რესპოდენტთა ნაწილმა თავიანთი სახელი და გვარის გამხელა არ ისურვა. მიუხედავად ამისა მათ მონაწილეობის გაგაცნობთ. არჩევნებში მონაწილეობა სავალდებულოა იმიტომ, რომ საკუთარი აზრი დავაფიქსიროთ. მე წავალ არჩევნებზე, მაგრამ არ გავამხელ ვის მივცემ ხმას”. „რა აზრი აქვს ჩემს არჩევნებში მონაწილეობის მიღებას, მთავრობა მაინც თავისას აკეთებს და არავის უსმენს. ჩვენ თვითნ ვართ ჩვენი თავის პატრონი, მაგრამ ხალხი ვალდებულია გამოხატოს თავისი აზრი და ამიტომაც იღებს არჩევნებში მონაწილეობას”. „არავის არ ვაძლევ ჩემს ხმას, არც არჩევნებზე წავალ. ამ მთავრობამ იმდენი დაპირება გასცა სათვალავიც კი აირია, ან საერთოდ არ გაეცათ ეს დანა-

პირები ან ის გაეკეთებინათ, რაც თქვეს ელემენტარული სამუშაო ადგილები მაინც შეექმნათ”. „საერთოდ არავის არ მივცემ ხმას, წავალ არჩევნებზე და ყველას ხაზს გადავუსმევ. ხალხი ისეთს არაფერს ითხოვს, სამუშაო უნდა, რომ საარსებო მინიმუმი მაინც ჰქონდეთ და ესეც არ აქვს, ვის უნდა მივცე ხმა? არც წინა და არც ახლანდელი მთავრობა არ უქნია ღმერთ”.

„მე პირადად ძალიან უკმაყოფილო ვარ ქართული ოცნების. მათი დაპირებები თითქმის არ შესრულდებულა. არჩევნებზე არ წავალ და ჩემს ხმას არავის მივცემ, ან თუკი მივცემ, მაშინ ნათელაშვილს”.

„ფოთისთვის და ხალხისთვის არავის არაფერი გაუკეთებია ყველა თავის ჯიბეს ივსებს, არჩევნებზე არ წავალ ხალხი სამუშაოდ არის უცხოეთში გადახვეწილი, ოჯახი რომ შეინახოს, და ამათ მივცემ ხმას?”.

„ხალხი სამუშაოს ითხოვს ოჯახის სარჩენად და არსად არი, როცა სამუშაო იქნება ყველაფერი გამოკეთდება ხმას იმას მივცემ ვინც ჩვენ მოგვხედავს და ყურადღებას მოგვაქცევს”.

რუსუდან აბურჯანია - „ჩემი აზრით მუშა ადამიანისთვის სულ ერთია ვინ იქნება მთავრობაში, ვფიქრობ, რომ ოცნება უნდა მოვიდეს კვლავ, ჩემთვის მათ ცუდი არაფერი გაუკეთებიათ და არჩევნებზეც რა თქმა უნდა წავალ”.

გონა გაბუნია - „ნაციონალებს ვენდობ და მინდა, რომ ქვეყანას სათავეში ნაციონალები ჩაუდგეს, მე მათი იმედი მაქვს. არჩევნებში რა თქმა უნდა წავალ და ჩემს ხმას დავაფიქსირებ”.

თამაზ ფაცია - „ჯერჯერობით ვერ ვიტყვი ხმას ვის მივცემ, რადგან მე თვითონაც ვერ გადამიწყვეტია, გადავხედავ ყველაფერს და იმის მიხედვით მივიღებ გადაწყვეტილებას. მართალია პენსია 20 ლარით გაიზარდა, მაგრამ ქართული ოცნება მხოლოდ ამას არ შეგვიპირებია. გადავხედავ მოვლენებს და ჩემს ხმას იმას მივცემ ვინც დაიმსახურებს”

ზინაბ თებაძე - „ნდობას იმას გამოვუცხადებ ვინც ხალხისთვის იქნება და მოგვხედავს. მინდა, რომ ხალხმა კარგად იცხოვროს და მათი შრომა უფრო ხალხისიანი გახდეს”

ლარისა ლილუაშვილი - „დღევანდელი პირობები ისეა, რომ არამგონია მთავრობაში ისევე ქართული ოცნება მოვიდეს. ძალიან რთულად ცხოვრობს ხალხი. მე კვლავ ამ მთავრობის მოსვლას არ ვისურვებ, რადგან ხალხს ვხედავ, როგორ ცდილობს საარსებო წყაროს მოპოვებას. ეს ყველაფერი კი ასე შორიდან ძალიან რთული საყურებელია. არ აქვს ხალხს მინიმალური საშუალება, ქართულმა ოცნებამ ბევრი დაპირება გასცა მაგრამ გაკეთებული არაფერია”.

მანანა კალანდარიშვილი - „რომ ვთქვა ამ მთავრობას არაფერი გაუკეთებია-მეთქი, მართალი ნამდვილად არ ვიქნები, ბევრი რამ სასიკეთოდ შეიცვალა, ზოგი ძველმთავრობას მისტირის, ზოგიც ახალს, მაგრამ ერთი რამ ცხადია ის, რომ ხალხის მოსაწონს სრულად ვერც ერთი მთავრობა ვერ გააკეთებს, ასე რომ ვფიქრობ ხმას ამ მთავრობას მივცემ”.

ნადია ბეგვერია - „მე, რომ მკითხოს კაცმა სულ არ წავალ არჩევნებზე იმიტომ, რომ ჩვენ პენსიონრებს უფრო მეტი ყურადღება გვჭირდება. დავგაფასონ ცოტა უფრო და ჩვენც დავაფასებთ და მივცემთ ხმას”.

სპორტი

მურმან მალანია პერსხლის მედლის მფლობელია

გასულ კვირას ბელორუსიის დედაქალაქ მინსკში დასრულდა მსოფლიო ჩემპიონატი 18/ 23 კანოე – კაიაკში ახალგაზრდებს შორის. საქართველოს ნაკრებმა წარმატებით იასპარეზა და ისტორიული შედეგით დაამთავრა ეს ჩემპიონატი. აღნიშნულ ჩემპიონატზე მონაწილეობას დებულობდა ფოთელი სპორტსმენი, საქართველოს ნაკრების წევრი მურმან მალანია, რომელმაც ვერცხლის მედალი მოიპოვა! 18 კანოე 200მ – მურმან მალანია – II ადგილი.



ლადო ლომაია კრივილი ევროპის კრივილი გახდა

რამდენიმე დღის წინ, ხორვატიის ქალაქ ზაგრებში, მოსწავლე მოკრივეთა შორის ჩატარდა ევროპის ჩემპიონატი კრივიში. ჩემპიონატში მონაწილეობდა საქართველოს ნაკრების წევრი ფოთელი მოკრივე ლადო ლომაია, რომელმაც მოიპოვა ერთი გამარჯვება მეოთხედფინალში და ნახევარფინალში დამარცხდა. ევროპის ჩემპიონატის შედეგი ასე გამოიყურება, 56 კგ წონით კატეგორიაში მესამე ადგილის მფლობელი ლადო ლომაია გახდა.

